საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

ოთხშაბათი 8 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 38 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 38

## კეთილ ნათლიების მოლოდინში.

ქართველი მენშევიკები საბანკეტოდ ემზადებიან. ხუმრობა ხომ არ არის—მათ ესტუმრებიან ისეთი „სოციალისტები“, როგორც რენოდელი, ვანდერველდე და შეიძლება კაუცკი, თვით კარლ კაუცკი! პოლიტიკური კაროჟნები უკვე ხტიან სიხარულით საყვარელ ნათლიების მოლოდინში, უკვე ფერ-უმარულით ითხუპნებიან, გიტარაზე ამღერებენ „მოდნურ“ სიმღერებს, ჯერ ჯერობით „ერთობა-ბორბას“ დერეფანში. სიხარული იმ ზომ დიდია, რომ ვერც კი ამჩნევენ, როგორ ამჟღავნებენ თავის ნამდვილ სახის სიმახინჯეს ალერსიან კურკურის დროს. „ერთობა“ მაგალითად ისეა დამთვრალი ეშხით, რომ ასეთ რამეებს ახლის თავის მრევლს, „საქართველოს დემოკრატიას“:

„ვინ არ სწვევია ამ რამდენიმე რევოლიუციური წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას: გენერალი, პრინცი, სალდათი, ვაჭარი და სპეკულიანტი უცხო ქვეყნის. რომელი ფერის და ჯურის ხალხი გინდათ არ იხილეს თფილისის ქუჩებმა“.

როგორ მოგწონთ ეშხიანი კაროჟნას ალსარება? რევოლიუციის ქვეყანაში მთელი დედამიწის არამზადები არხეინათ დასეირნობდენო! ან შეიძლება რევოლიუცია რეაქციის მაგიერ წამოცდა. ეს უფრო სწორია, რადგან აქამდის მენშევიკები თავის გაუზომელ, უძირო და უნაპირო დამსახურებათ თვლიდენ სწორედ იმ გარემოებას, რომ გენერლები, პრინცები და სპეკულიანტები სამოთხეთ აცხადებდენ მათი რევოლიუციის ქვეყანას; თავი მოქონდათ, რომ „ევროპას“ პოვწონვართო. ახლა კი სხვა ჰანგებზე ამღერებენ:

„მაგრამ ჩვენი სტუმრები არასოდეს არ ყოფილან ისინი. ზოგნი საბატონოთ მოდიოდენ, ზოგნი მოსაგებად“.

ნეტა ვისი სტუმრები და ვისგან მოპატიჟებულნი იყვნენ ვილგელმის გენერლები? ვინ უმართავდა მათ ბანკეტებს და კარში ხვდებოდა ხელგაშლილი, და ბედნიერი ღიმილით: „კეთილ იყოს თქვენი მობრძანება, უფალო გენერალო“! ვინ ეხმარებოდა და უსურვებდა ოსმალეთის გენერლებს ბაქოს მუშებზე გამარჯვებას? ვინ უსურვებდა ინგლისელების დამარცხებას ბაქოს მიდამოებში და სპარსეთში?

და როცა გერმანელები იძულებული შეიქნენ აქედან გასულიყვენ, ვინ გააყოლა მათ მტირალა თვალი და იმავე დროს შეაქო ვილგელმის გენერალ-ლეიტენანტები ერთს ვრცელ დოკუმენტში, რომელიც მიმართული იყო... ინტერნაციონალისადმი! ან, როცა გერმანელების ადგილის დამჭერი ინგლისელები დაეპირენ აქედან გასვლას, ვინ ჩააფრინდა მათ კალთაში და თავდაბალი არზა გააგზავნა სადაც ჯერ იყო—ინგლისის ჯარი დარჩესო?

და ყველა ამის შემდეგ:—ჩვენი სტუმრები არ ყოფილანო. ვინ დაგიჯერებთ, ვის დააჯერებთ? ან ვის აუხვევთ თვალს ახლა და დაარწმუნებთ, რომ გენერლების მაგიერ თქვენ გესტუმრებიან ახლა სულ სხვა ქვეყნის, სულ სხვა მსოფლმხედველობის ხალხი — რენოდელების, ვანდერველდების და თვით კაუცკის სახით? რომელ მუშურ საფრანგეთის წარმომადგენელია მაგალ. რენოდელი? ან რომელ გერმანელ მუშების დელეგატია კაუცკი, ის კაუცკი, რომლის სახელის ხსენებაზე გერმანელი მუშები კისრის ტეხით აგდებენ ტრიბუნიდან ორატორს, რომელმაც გაბედა მისი ხსენება? ცოტაოდენი გამონაკლისით, თქვენი ახალი სტუმრები იგივე გენერლებია, ხოლო უჯარო და სამუდამოთ სახელ გატეხილი რამდენათმე რევოლიუციონურ მუშების წრეებში. საფრანგეთის ბანკირების მოხალისე ნოქარი, ბელგიის კაროლის უქვეშევრდომილესი მინისტრი, ყოფილი თეორეტიკოსი მარქსიზმის და ახლა ამ მარქსიზმის ფეხით გამთელავი და სხ. ასეთები—აი მენშევიკების სტუმრები. მარა მათი კაროჟნები მაინც დამღერიან „რა კარგია ჩაის ვარდის“ ხმაზე:

„რა კარგია ეს სოციალისტური ევროპა! უკვე ისმის მისი ძლიერი, საამური ხმა, რომელსაც შეუძლია განთავისუფლება, მაგრამ არა დამონება...“

სჩანს კაროჟნა უკვე რეპეტიციას აკეთებს ბანკეტზე ერთ და იმავე დროს საცეკვავათ და „მუზიკის“ დასაკვრელათ, თორემ გავახსენებდით ალჟირ-ტუნისის, ინდია-ირლანდიის, და „გმირული“ ბელგიის კონგოს მოსახლეობის ჯოჯოხეთურ კბილთა ღრჭენას და გმინავს. მარა ახლა ხელს ნუ შეუშლით, ემზადოს საქართველოს დარისპანის გამოსაჩენათ და სასახელოთ.

## ივანე კიკაბიძე.

ვინ არის ეს ივანე კიკაბიძე, რომლის გარშემო ატეხილ ამბებს ვრცელი წერილები უძღვნეს ჩვენმა კორესპონდენტებმა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში? ის დღევანდელი დღის გმირია; მან უკვე ასტეხა ხმაურობა ქართულ პრესაში; მან ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი დაწესებულებებისა და ისეთი ცნობილი პირები, როგორიც არიან პროფესიონალური კავშირების ლიდერი ბ. ხელაძე და დამფუძნებელი კრების წევრი ბ. თევზაია.

რაშია საქმე? რამ გამოიწვია ამოდენა აურზაური? ხალხის ნდობით აღჭურვილმა ივანე კიკაბიძემ მოატყუა ხალხი; მან სპეკულიანტობას მიყო ხელი და ხალხის ფულით შეძენილ სიმინდზე მან იმავე ხალხს რამდენიმე თუმანი ააფცქვნა თითეულ ფუთზე.

მერე და ღირს ამ საქმის გამო ამდენი განგაში? იკითხავს მკითხველი. რამდენი მატყუარა და ხალხის მძლეტელი დაძრწის დღეს საქართველოში, მაგრამ ვის მოუვა ფიქრათ ყველა მათზე განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერდეს და მათი უმგვანო საქმეების ჩხრეკას ამდენი ენერგია დახარჯოს?

არა, მეგობარო—მკითხველო, ივანე კიკაბიძე თურმე სულ სხვა კაცია და მასზე უეჭველათ ღირს ყურადღება შევაჩეროთ. ჩვენ არ გვეინტერესება მისი სპეკულიანტობა და რამდენიმე (თუნდაც დიდძალი) ფულის მითვისება. ის ჩვენთვის საინტერესოა როგორც ტიპი, როგორც საუცხოვო ნიმუში ჩვენი ცხოვრების დუხჭირი მხარეებისა.

კიკაბიძე მუშაა და თან ძველი მოწინავე მუშა. ის თავიდანვე დაკავშირებულია ჩვენებურ მუშათა მოძრაობასთან, რომელშიაც ის თამაშობს განსაკუთრებულ როლს. ეს როლია ხელმძღვანელობა, ერთნაირი ლიდერობა მუშათა მასისა.

ჩვენებური მეშჩანური წრე, ის წვრილ ბურჟუაზიული ჭაობი, რომელსაც წარმოადგენს ჩვენებური ცხოვრება, შესაძლებელათ ხდის კიკაბიძეების ლიდერობას. ეს ანგარებით გატაცებული და ენერგიული მხოლოთ საკუთარი ინტერესების მიღწევაში, ადვილათ ახერხებს თავში მოექცეს მუშათა მასას და მთელ მოძრაობას თავისი პირადი ეგოისტური მოსაზრების თანახმათ მიმართავს. მას სრულიად არ მოეპოვება საქმისთვის თავგანწირულება, ალფრთოვანება და თუნდაც უბრალო გატაცება, რაც აუცილებელი თვისება უნდა ჰყოს მუშათა ხელმძღვანელისათვის. მიუხედავათ ამისა ის მაინც ხელმძღვანელია და ხელში უჭირავს მასზე გაცილებით უფრო ნიჭიერი, გამოცდილი და იდეით გამსჭვალული ხალხი.

კიკაბიძე ნამდვილი მუწუკია ჩვენი მუშათა კლასისა, რომელსაც იგი უწამლავს ყოველივე სასიცოცხლო ძალას. ის ერთი არ არის. მას ღრმათ აქვს გამჯდარი ბრჭყალები როგორც ძირს—მუშათა მასებში, ისე ზევით—ამ მასების გავლენიან წრეებში. კიკაბიძეები არიან, რომ თავს წამოსკდომიან მთელ ჩვენს მუშათა კლასს და მომენტის შესაფერათ მოხერხებულათ გამოაცემინებენ მას საჭირო ხმას: ჰო, ჰო! არა არა!

დღეს ამ პატარა ფაქტით აშკარავდება ამ მუწუკის ნამდვილი სახე. დღევანდელი მისი ოპოზიციონერები, მასავით მართლმორწმუნე მენშევიკები, თურმე მისი მარჯვენა ხელი იყვნენ წარსულში და ახლა ცდილობენ ეს ხელი მის წინააღმდეგ მიმართონ. რამდენჯერ ამ ოპოზიციონერთა ხელებს ამოუთრევიათ კიკაბიძე იმ აშმორებულ წუმპიდან, რომელშიაც ის ყელამდე ყოფილა ჩაფლული. წუმპის მოყვარული ვერ აიტანდა სალ პირობებს და თავისთან ერთათ იმავე წუმპისკენ ეზიდებოდა მის გავლენის ქვეშ მყოფ მრავალ პატიოსან და იდეურ მუშას. დღეს ესენი ხვდებიან, რომ არ შეიძლება კიკაბიძის ამ წუმპიდან ამოყვანა, პირიქით ისგან განთავისუფლება შეიძლება მხოლოთ მისი ამ წუმპეში უფრო ღრმათ ჩაფვლით და შიგ სამუდამოთ მისი დასამარებით.

დღეს კიკაბიძე სააშკარაოზეა გამოყვანილი. საჭიროა, რომ ის თვალიდან აღარ მიეფაროს მუშათა მასას და ერთ ხელ და სამუდამოთ იქნეს იგი გაკრული სამარცხვინო ბოძზე.

კიკაბიძეს ბევრი დამცველი გამოუჩნდება. ჩვენ ვიცნობთ მის დამქაშების დემაგოგიურ ოინებს, ისინი შეეცდებიან თავის სასარგებლოთ გამოიყენონ თვით ჩვენი გამოლაშქრება: კიკაბიძეების მიერ ხომ ისეა მოწამლული მათ გავლენის ქვეშ მყოფი მუშათა წრეები, რომ ჭეშმარიტებათ მხოლოთ ჩვენ საწინააღმდეგო აზრი მიაჩნიათ. ახლაც იტყვიან: აჰა, ჩვენი მტრები—კომუნისტები კიკაბიძის წინააღმდეგი არიან, მაშ გაუმარჯოს კიკაბიძეს, ძირს მისი მოპირდაპირენი! ამნაირათ ჩვენ იქნებ კიდეც ვუძნელებთ საქმეს მის მოწინააღმდეგეთ, რომლებიც შესაძლოა მაინც შედრკენ და ივანე კიკაბიძესთან სამშვიდობო ხელშეკრულობა დასდონ. მით უფრო ულმობელი ვიქნებით მთელი ამ სიბინძურის განიავებაში, მით უფრო მეტი ხალისით მივაყოლებთ კიკაბიძეს მის დიდ და პატარა დამქაშებს.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს კი წინადადებით მივმართავთ: გაგვიწიონ მაგიერი სამსახური, მიგვითითონ თავიანთ საკუთარ კიკაბიძეებზე, თუ კი ასეთები მოიპოვებიან, და ნახავენ, რომ ჩვენ უფრო მეტი ულმობელობით და მოურიდებლობით გავრეკავთ მათ ჩვენი წრიდან.

კიკაბიძეებიდან უნდა გაწმინდოს მუშათა მასსა, რომელ ბანაკსაც უნდა იმყოფებოდენ და რა დროშასაც უნდა აფარებდენ ისინი თავის ბინძურს პიროვნებას. მათ უნდა გაყვეს მათ მიერ აშმორებული ჭაობი და გზა გაეწმინდოს მუშათა მოძრაობის წმინდა ნაკადებს.

## ადგილობრივი პრესა.

ბრძოლა ევროპა-ამერიკის იმპერიალისტების წინააღმდეგ უწმინდესი მოვალეობაა ყოველი რიგიანი ადამიანისათვის. მარქსისტისთვის ხომ ეს ბრძოლა პირდაპირ აუცილებელი აქსიომაა, ურომლისოთაც იგი ვერც საგარეო და ვერც საშინაო პოლიტიკას პროლეტარული თვალსაზრისით ვერ აწარმოებს. მაგრამ დღევანდელ პირობებში მარტო ჩვენს პარტიას—საერთაშორისო კომუნისტურ პარტიას ხვდა წილათ ამ დიადი და თან მეტათ მძიმე ბრძოლის წარმოება. ამას ჩვენ გვიკარნახებს მარქსიზმის მთელი თეორია და პრაქტიკა. მართალია, სხვა ჯურის ვითომდა „მარქსისტები“, ნამდვილათ კი მარქსის გამყალბებელნი, ასე არ უყურებენ საქმეს, ისინი მარქსის სახელით იცავენ და ეხმარებიან მსოფლიო იმპერიალიზმს და ან, უკეთეს შემთხვევაში, სდუმან მასზე: ამათ რიცხვს ეკუთვნიან ქართველი მენშევიკები, რომელთაც უარყვეს როგორც თეორია ისე პრაქტიკა მარქსიზმისა, მაგრამ სიტყვით მარქსიზმს დღესაც დიდათ ებღაუჭებიან. მათ ლიდერს ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „ჩვენ გვირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“. ასეთი არჩევანი აშკარათ ამტკიცებს იმპერიალიზმის მომხრეობას და მის სულიერ-ხორციელ ტყვეობაში ყოფნას, რადგან დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლნი მარტოთ მარტო ეს აბუჩათ აგდებული „ფანატიკოსები“ არიან. მაგრამ ხანდახან მენშევიკებსაც წამოსცდებათ სხვაგვარი აზრები ევროპა-ამერიკის იმპერიალიზმის შესახებ. დღევანდელი „ერთობის“ მოწინავე ეხება ევროპა-ამერიკის ურთიერთობას რუსეთისადმი, ახასიათებს მას, რასაკვირველია, ცალმხრივათ, და გონებს, რომ დღევანდელ მის განწყობილებას სარჩულათ უდევს მხოლოთ რუსეთის სიმდიდრის ხელში ჩაგდების სურვილი და არა (ამაზე უფრო მეტათ და არა ნაკლებათ) კომუნისტური რევოლიუციის შიში; ყალბათ სახავს იგი ამერიკასაც, როგორც ერთათ ერთ „ამაყ“ ქვეყანას, რომელიც დღემდი ვითომდა იცავდა დემოკრატიას. მაგრამ ასეთი ცოდვები „ერთობის მესვეურებს მაშინაც არ აკლდათ, როცა ისინი მართლა მარქსისტობდენ და რევოლიუციონერობდენ, მიუხედავათ ამგვარი ცოდვებისა, რომლებიც სტატიაში ბლომათ მოიპოვება, დამახასიათებელია ის, რომ სტატია აშკარათ მიმართულია ევროპა-ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მის ავტორთ ვეღარ დასწამებ, რომ „ევროპის იმპერიალისტები“ მათ სხვა ვისმეს ერჩივნოს. მოგვყავს ეს წერილი უცვლელათ;

„რუსეთი ბუნებით მდიდარია და თვალუწვდენელი. აქ დიდი სარბიელი აქვს ყველა ჯურის კაპიტალს და იმპერიალისტურ ზრახვებს. და ყველა ქვეყნის გაბატონებულ კლასებს კბილის კაწკაწი აქვთ ატეხილი მის ხელში ჩასაგდებათ.

რა საშუალებას გინდათ არ ხარჯავენ ამ მიზნის მისაღწევათ.

ინგლისი ამ საქმეს ახმარს ლოიდ-ჯორჯის მთელ ძლიერ ტალანტს და კერზონის გამოცდილებას, რესპუბლიკანური საფრანგეთი—ამისთვის ეტმასნება ცარიზმის მომხრე ვრანგელს, იაპონია ამ საგანს შეყურყუტებს აღმოსავლეთში და ციმბირის გემრიელ ლუკმას თავს ევლება. გერმანიის კაპიტალი, თუმც დღეს დამარცხებული ყოველი გზით მოწყვეთავს რუსეთისკენ. იტალია რადიკალობს კომუნისტების მიმართ, რომ მათი გულის მოგებით იქ ბაზარი გაუჩინოს თავის საქონელს.

დემოკრატიული ჩრდილო-ამერიკა, რომელიც დღემდე საქმეებში არ ერეოდა?

იგიც იწვდის ხელს ამ ახალ მსუქან ლუკმის ხელში ჩასაგდებათ.

ამ მიზანს ეწირება მსხვერპლათ მისი „დემოკრატიზმი,“ გუშინდელი სატრაბახო დეკლარაცია ვილსონის, ტრადიცია ერის და რაც გინდათ.

ჭეშმარიტათ არავითარი წმინდათა წმინდა არ მოეპოვება იმპერიალიზმით გატაცებულ ქვეყანას. კაპიტალი უგულოა და მხოლოდ ჩოთქსა და ანგარიშზე აგებული, იგი ყველაფრით ვაჭრობს, თავის წარსულით და მომავლით, იდეებით და დეკლარაციებით, აზრით და გრძნობით.

ინგლისის დიპლომატია ამ მხრივ ცნობილია თავის საკოლონიო მუშაობაში. საფრანგეთი დიდი ხანია ემეგობრებოდა ამ მიზნით ნიკოლოზის რეჟიმს.

ამერიკა იდგა ერთათ-ერთი ამაყათ და დემოკრატიას იცავდა. დღეს ისიც ისე გაშიშვლდა, როგორც სხვა ქვეყნები.

ბურჟუაზიამ უარყო დემოკრატიზმი. უკუაგდო ეს საშუალება, როგორც მისთვის გამოუსადეგარი და აშკარათ გამოვიდა თავის გაუმაძღრობის სამოსელში.

ამერიკის შეერთებული შტატები არ ცნობენ ბოლშევიკებს; არ ცნობენ იმიტომ, რომ სცადეს კომუნისტებთან ვაჭრული კავშირი და არაფერი გამოუდნათ, ვერ შეეგუენ.

ცხადია მას ველარ იცნობენო. ამას მოითხოვს გაცრუებული ჯიბე კაპიტალისა.

მაგრამ რუსეთის ხალხის გული რითიმე უნდა მოიპოვონ. ან დამარცხებით და დამორჩილებით, ან მოფერებით და მათ მეგობრათ თავის მოჩვენებით.

თან კი ხერხს ამჯობინებს. ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო. მანაც მოიგონა.

ბოლშევიზმი ცუდია, რუსეთი კი საყვარელი. კომუნიზმი უნდა გაქრეს, ხოლო რუსეთი ძველ საზღვრებში აღდგეს.

პატარა ერები რომ გამოყოფიან და ცალკე დამოუკიდებლობა გამოუცხადებიათ, ეს შეუწყნარებელია. რა ვუყოთ რომ ვილსონმა იქადაგა მისი სახელით მცირე ერთა თვითგამორკვევა. გამოერკვეს ის, ვინც ხელს არ უშლის იანკის გამდიდრებას რუსეთის ფართე სივრცეზე. პატარა ერები კი შეეწირონ ზვარაკათ იანკის და რუსის დამეგობრებას, პირველის საკეთილდღეოთ.

აი ასეთია ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების დღევანდელი მთავრობის ოინები.

რუსეთში დამოუკიდებლობა არავის უნდა მიეცეს, გარდა ფინლიანდიისა, პოლონეთისა და სომხეთისა.

სადაა დემოკრატიზმის წმინდა დროშა? იგი ხელიდან გააგდო ბურჟუაზიამ, მოგების საკურთხეველზე დასწვა, გროშზე გაყიდა. მაგრამ მუშათა დემოკრატია იღებს ხელში ამ დროშას, თავის წითელი სისხლით ღებავს მას, ამკობს პრლეტარული იდეებით, პრაქტიკით. თქვენ ვერ შესძლით დიდი რევოლიუციის და თავისუფლების შვილება სხვისთვის თავისუფალი გზის

სხივების გაბნევა. ჩვენ თვითონ მოვიპოვებთ მას.

თქვენ ყელში გაგეჩხირათ ერთა თვითგამორკვევა? არაფერია, მუშათა მარჯვენამ მიიღო იგი თავის მფარველობის ქვეშ, სოციალიზმი გაუხდა მას მცველათ და მფარველათ. თქვენი კეთილი სიტყვა და ცბიერი გული მას ვერ შეამკობს. რევოლიუციური სილამაზით და უშრეტ ენერგიით არის იგი გამშვენებული.

წითელი დროშა დაფრიალებს მას თავზე მფარველ ანგელოზათ. შეგიძლიათ მობრძანდეთ. თავისუფალ მომცირო ერებმა იციან გზა—ხსნისა და ბედნიერებისაკენ".

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს სტატია გასაკვირალი მოვლენაა „ერთობის" ფურცლებზე. ჩვენ არ ვიცით, რა სულიერი განწყობილებით არის გამოწვეული, ან რომელმა ქარმა მობერა იგი ამ ჩვენს ტურფა ქვეყანას. მაგრამ ცხადია, რომ იგი წარმოადგენს იმ ნათელ წუთებს მარქსიზმის უარყოფით დაავადებულ „ერთობის" აზროვნებაში, იმ „ბრწყინვალე ინტერვალს", რომელიც თურმე სულით ავადმყოფსაც ეწვევა ხოლმე ხანდახან რამდენიმე ხნით. ვისურვოთ, რომ ეს „ინტერვალი" მეტათ ხანმოკლე არ ყოფილიყოს „ერთობის" პრაქტიკაში.

# საბჭოთა რუსეთის პრესა.

## ანტანტის გეგმები.

გაზ. „ბერნილერ ტაგებლატის„ კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ერთ ცნობილ პოლონელ მოღვაწეს განუცხადებია, რომ პოლონეთის ჯარის სარდლობას სრულიადაც არ სურს საბჭოთა რუსეთთან ზავის ჩამოგდება. რუსეთთან საზავო მოლაპარაკებას პოლონეთის სარდლობა უცქერის, როგორც დასასვენებელ (სულის მოსათქვამ) საშუალებას. ის დარწმუნებულია, რომ გაიმარჯვებს საბჭოთა რუსეთზე და აზრათაც არ მოდის ისეთი ზავი, რომელიც დამყარებული იქნება მოსკოვის მთავრობასთან შეთანხმებაზე". ასე ფიქრობს პოლონეთის სარდლობა და იმავე დროს იგივე „ცნობილი მოღვაწე" აცხადებს, რომ პოლონეთში „როგორც მთავრობა, ისე გავლენიანი პოლიტიკური წრეები იმყოფებიან სამხედრო სარდლობის ძლიერ გავლენის ქვეშო".

შემდეგ იგივე პირი აცხადებს, რომ პოლონეთის სოციალისტური (პ. პ. ს.) პარტიის უმრავლესობა, რომელიც ეხლა ხელმძღვანელი პარტიაა—„სულიერათ იკვებება პილსუდსკის პოლიტიკით, რომლის მიზანია—გაბატონება (გეგემონია) აღმოსავლეთზე, და რომელიც (პილსუდსკი) ჯერაც არ უარყოფს ამ მიზნებისათვის ბრძოლას, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე ამ გზაზე დამარცხებაც იგემა". ეს იმას ნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობა და ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიაც (პ. პ. ს.) ისევ ოცნებობენ თავის დაპყრობითი იმპერიალისტური გეგმების განსახორციელებლათ, სურთ დაიპყრონ ბელორუსია, უკრაინა და სხვა.

და, აი, ეს იმპერიალისტური პოლონეთის გადარჩენა სურთ ეხლა ინგლისს და საფრანგეთს და მთელი თავისი ძალებით ახალი ომით ემუქრებიან საბჭოთა რუსეთს, რომელსაც სურს მხოლოდ უზრუნველყოს თავისი თავი პოლონეთის შლიახტის ასეთი მტაცებლური გეგმებისაგან. ბუნებრივია, რომ ანტანტის ასეთი პოლიტიკა იწვევს ძლიერ გულის წყრომას და წინააღმდეგობას, რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატში. ინგლისში მოძრაობა ისე ძლიერი და საშიში გახდა, რომ იქამდის ისეთი უკიდურესი მემარჯვენე სოციალ-შემთანხმებელი, როგორიც არის გენდერსონი, ისიც კი მუშათა პარტიის სახელით ყოველ მხრივ ტელეგრამებს აგზავნის, რომლითაც მოუწოდებს მუშებს იბრძოლონ რუსეთის საქმეებში ინგლისის ჩარევის წინააღმდეგ; იბრძოლონ კიდევ იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის მთავრობა დახმარებას უწევს პოლონეთს. კიდევ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს მუშების პროტესტი გერმანიაში. „ფორვერტსი" (შეიდემანელების გაზეთია) ათავსებს მოწოდებას, სადაც სწერია, რომ გერმანიის მუშათა კლასმა „მთელი თავისი საშუალებებით" ხელი უნდა შეუშალოს გერმანიის ტერიტორიაზე, პოლონეთისთვის, ჯარის, იარაღის და ტყვიაწამლის გატარების საქმეს. თუ რომ გერმანიის რკინის გზელები—ამბობს მოწოდება, დაიწყებენ ამ ბრძოლას, ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათ დაეხმარება მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. მოწოდებას ხელს აწერენ გერმანიის საყოველთაო პროფესიონალური კავშირი და შეიდემანელების, დამოუკიდებლობის და კომუნისტების ცენტრალური კომიტეტები.

იმპერიალისტურ პოლონეთის შლიახტისთვის დახმარების აღმოჩენით, ანტანტა ააშკარავებს თავისი პოლიტიკის დედა აზრს და მას ნათელდასანახათ ხდის დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისთვის, რის გამო დას. ევრ. პროლეტარიატი „ყოველივე საშუალებებით" დადგება რევოლიუციონურ ბრძოლის გზაზე.

საფრანგეთს სურს იხსნას დაღუპვისაგან პოლონეთის შლიახტა თეთრგვარდიელ, უნგრეთის დიქტატორის, ადმირალ ხორტის ხელით. ამ დროს, უნგრეთს კი, ბოიკოტი აქვს გამოცხადებული მთელი ქვეყნის პროლეტარიატის მიერ. გამომუშავებულია პროექტი (გეგმა), რომ შეკავშირებულ იქნენ უნგრეთის მუშების ჯალათი—ხორტი და პოლონეთის „სოციალისტი"—დაშინსკი. ეს კავშირი, მით უმეტეს ამ კავშირის პროექტი, ნათლად ასურათებს ანთანტის და პოლონეთის პოლიტიკის არსებით მხარეს. ასეთი კავშირი და თუნდა მისი მხოლოდ პროექტი უფრო რევოლიუციონურს ხდის და ბრძოლისაკენ ერეკება დასავლეთ ევროპის მუშათა მასსებს.

საფრანგეთის იმპერიალისტების საბჭოთა რუსეთის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ გაცოფიანებას საზღვარი არ აქვს.

საფრანგეთის იმპერიალიზმი, თავის მიზნის მისაღწევათ, ყველაფერს სასწორზე სდებს. მისი სურვილია ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველათ გამოიყვანოს უნგრეთი, რუმინია, ჩეხო-სლოვაკია და სამხრეთ-სლავია. ამ ბრძოლაში ერთხელ კიდევ უნდა შევაჯგუფოთ ჩვენ, ჩვენი ძალები, მთელი ჩვენი ენერგია, რომ ისევ ჩქარა გაბედულათ გაუტეხოთ ხერხემალის ძვალი ჩვენს ახალს მოწინააღმდეგეს, თუ ისინი მართლა გაბედავენ ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლას, როგორც ამას ვუშვებით ჩვენ ახლა პოლონეთის შლიახტას.

„პრავდა" № 177.

**მშრომელნო ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით წითელ ინტერნაციონალის! მე-2 კონგრესის უძლეველ დროშის ქვეშ!**

# ინტერნაციონალის გარშემო

## კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესი მოსკოვში

### პირველი სხდომა

### ამხ. ზინოვიევის მოხსენება

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ." № 37)

### რას წარმოადგენს რევოლიუციონური სინდიკალიზმი და ინდუსტრალიზმი?

რევოლიუციონური სინდიკალიზმი და ინდუსტრიალიზი წარმოადგენენ ნაბიჯს წინ მე-2 ინტერნაციონალის ძლევა დახავსებულ კონტრ-რევოლიუციონურ იდეოლოგიასთან შედარებით, მაგრამ რევოლიუციონურ მარქსიზმთან, ე. ი. კომუნიზმთან შედარებით კი სინდიკალიზმი და ინდუსტრიალიზმი ნაბიჯია უკან. გერმანიის „მემარცხენე" კომუნისტების განცხადება პროგრამულ დეკლარაციაში აპრილის დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი აარსებენ პარტიას მაგრამ ამ სიტყვის ჩვეულებრივ ტრადიციულ მნიშვნელობით, იდეიური კაპიტულაციაა სინდიკალიზმის და ინდუსტრიალიზმის იმ შეხედულებების წინაშე, რომლებიც რეაქციონურათაა მიჩნეული.

### პარტის საჭიროება

მე ვებაასები ჩვენს კეთილ მეგობრებს,—რევოლიუციონურ სინდიკალისტებს,—რომლებიც ამბობენ: „ჩვენ ყველაფერს შევასრულებთ, რასაც თქვენ გვირჩევთ, დავფუძნებთ საბჭოთა მთავრობას და წავიყვანთ მუშათა კლასს ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ყველაფერს ამას აასრულებენ სინდიკალისტები და ჩვენი პროფ. კავშირები. რა საჭიროა ასეთ შემთხვევაში პარტია?" მე ვეკითხები ამ მეგობრებს: თუ კი მათ მართლაც სურთ დააფუძნონ საბჭოთა მთავრობა, ხომ უნდა ქონდეთ მათ მისი პროგრამაც, ასე, მაგალითად, მათ უნდა ქონდეთ პროგრამა აგრარულ კათხვის შესახებ, საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ, უნდა გაგვიშუქონ თავისი დამოკიდებულება საშუალო გლეხებთან, არმიის ორგანიზაციასთან, შკოლების რეფორმასთან და სხვ. როგორც კი დაიწყებენ ისინი ამ კითხვებთან დამოკიდებულების ფორმულიროვკას და სწორი განმარტებების მოცემას, ამ მომენტიდან ისინი უკვე დაიწყებენ ჩამოყალიბებას პარტიათ. ამასვე ვეუბნებით ჩვენ ჩვენს უპარტიო მუშებსაც რუსეთში.

### პარტია და უპარტიო მუშები.

ჩვენში ათასობით არიან მუშები, რომლებიც ამ ჟამად უპარტიონი არიან, მაგრამ მხარს გვიჭერენ და ჩვენთან ერთად მოდიან. ჩვენ ვაწყობთ ასეთ უპარტიო მუშების კონფერენციებს, ვარჩევთ მათთან ერთად ყველა რთულ კითხვებს და ვეუბნებით მათ: ჩვენ უნდა გადავჭრათ სასურსათო საკითხი პოლონეთთან ომის შესახებ, ჩვენ უნდა მივიღოთ პასუხი შკოლისა და აგრარული საკითხების შესახებ. გსურთ თუ არა თქვენ ჩვენთან ერთად გადასჭრათ ეს კითხვები? თუ ჰო, მაშინ მოდით გავარჩიოთ ისინი და თუ კი ჩვენ, გაერთიანებულნი საერთო იდეით მივიღებთ [illegible] ყველა ამ კითხვებზე, ეს იქნება კომუნისტურ პარტიის პროგრამის დიდი ნაწილი. თუ კი გვსურს ჩავითრიოთ საუკეთესო ელემენტები, ჩვენ უნდა გვქონდეს განსაზღვრული ორგანიზაცია. კომუნისტური პარტიაც სწორეთ ეს ორგანიზაციაა.

### რაც უფრო დიდი იქნება პროლეტარული პარტია მით უფრო მოკლე იქნება გზა გამარჯვებისაკენ.

იგივე უნდა ვუთხრათ იმ ამხანაგებსაც, რომლებიც გუშინ მიღებულ იქნენ ჩვენს წრეში გადამჭრელი ხმით, იმათ, რომლებიც მიდიან და უნდა შევიდენ კომუნიზმამდე. ჩვენ უნდა ვუთხრათ მათ, რომ გზა გამარჯვებისაკენ იქნება იმდენათ მოკლე და იმდენათ იოლი, რამდენათაც დიდი იქნება ჩვენი კლასიური პარტია. ეს პარტია იქმნება ახლა, როდესაც ბრძოლა უკვე დაწყებულია, არა პირდაპირ ბრძოლის ქარცეცხლში, არამედ დღითი დღე გამოიმუშავებს პროგრამას და შემოიკრებს თავის გარშემო მუშათა კლასის საუკეთესო, დიდათ შეგნებულ ელემენტებს. რომ მზად ყავდეს ისინი გადამჭრელ საათისათვის. ყოველ საწარმოვო პირები ჩვენი პარტიის წევრები უნდა იყვნენ. პირველად ისინი, მართალია, უმცირესობაში იქნებიან, მაგრამ, ექნებათ რა ნათელი პროგრამა და აღჭურვილი იქნებიან რა მუშების ნდობით, ისინი გადამჭრელ საათში სათავეში ჩაუდგებიან მასიურ მოძრაობას. ბრძოლა, რომელიც მოგველის, დიადი, მისი სიდიდე დღემდე არავის არ გაუზომია კონკრეტულათ. ამიტომ მხოლოდ ახლა ვგრძნობთ ჩვენ, თუ რა დიდი იქნება ის ბრძოლა, რომელიც მოგვიხდება ჩვენ მტერთან.

### მუშათა კავშირები და პარტია.

უფერული მუშათა კავშირები კი არ უჩვენებენ სწორ გზას მუშათა კლასს, არამედ პარტიები; მუშათა კავშირები ცხოვრობენ მხოლოდ ყოველდღიური ინტერესებით. პარტია კი აერთიანებს პროლეტარიატის საუკეთესო ძალებს, კავშირდება ათი წლობით და შეადგენს მჭიდროთ შეკავშირებულ გულს. ლაპარაკი ეხება იმას, რომ ჩვენ უნდა შევაკავშიროთ მუშათა კლასის ავანგარდი, რომელიც ნამდვილათ ჩაითრევდა მასებს ბრძოლაში.

### რა თვალსაზრისიდან გამოდიან პარტიის მოწინააღმდეგე ამხანაგები.

ლოღიკურათ ცხადია, რომ ის ამხანაგები, რომლებიც მიდიან პარტიის წინააღმდეგ, ხშირად სრულიად შეუგნებ-

# რით აიხსნება რუსეთში სოციალისტური რევოლიუციის ადვილად გამარჯვება?

სულ ორიოდე თვის შემდეგ საბჭოთა რუსეთი იდღესასწაულებს მუშურ-გლეხური რევოლიუციის სამი წლის თავს. სამი წელიწადი პროლეტარული დიქტატურის ბატონობის, სამი წელიწადი სოციალისტური, საბჭოთა რესპუბლიკის არსებობისა, რომელიც გამოვიდა ოქტომბრის პროლეტარულ აჯანყების საშოდან! განა საჭიროა კიდევ სხვა საბუთები მის სასიცოცხლო ძალის დასამტკიცებელი? სამი წლის განმავლობაში გამუდმებული ბრძოლა მთელი მსოფლიოს რეაქციონურ კოალიციისა და შინაურ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, მისი დამარცხება აურიცხველ ფრონტებზე და სოციალისტურ რესპუბლიკის საზღვრებიდან უკუქცევა—და ყოველივე ეს ჯოჯოხეთურ ბლოკადის ცეცხლის რკალში,—განა შესაძლებელია უკეთესი საზომი რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის ცხოველმყოფელობის და ძლევამოსილების? კერენსკი და კრასნოვი, გენერალი კორნილოვი და ალექსეევი, სკოროპადსკი და პეტლიურა, კალედინი და სემიონოვი, კოლჩაკი და იუდენიჩი, ავალოვ-ბერმონტი და მანნერჰეიმი, ჩეხო-სლოვაკები და ესერები, პოლონეთის პანები და სხვა მათი წვრილფეხა დამხმარები, ბოლოს—ყველა ამათი მოკარნახე, სულის-ჩამდგმელი ანტანტა მისი დესანტებით, ფლოტებით, ტანკებით და ჰაეროპლანებით!—განა რომელიმე სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე გაუვლია ასეთი ბრძოლის ხანა და ასეთ ძლევამოსილათ მოუგერებიათ მთელი დემიწის გამგელებული რეაქციის იერიშები? ეს მოიმოქმედა ჩამორჩენილმა რუსეთმა, ეს მოიმოქმედა რუსეთის მუშამ და გლეხმა, რომლებმაც სამკვიდროთ მიიღეს ოთხი წლის იმპერიალისტური ომით დანგრეული და აფორიაქებული რუსეთი. მიიღეს და პროლეტარული დიქტატურის გუთანი აამუშავეს ისეთი წარმატებით, რომ დღეს მთელს ქვეყნიერებაში ელვარებს ეს ორი სიტყვით გამოთქმული მარქსის ანდერძი:—პროლეტარიატის დიქტატურა! ეს ლათინური სიტყვები უკვე გადათარგმნილია ყველა ხალხურ ენებზე—ისაა ყველა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ლოზუნგი, მათი ბრძოლის ყიჟინა, მათი მიზანი. და თუ რომელიმე სხვა სიტყვა შეეცილება პოპულიარობაში ამ სიტყვებს, ეს სიტყვაა „ბოლშევიკი" და „საბჭო". საბჭოთა მთავრობა შეიქმნა ის ფორმა, რომელშიაც ყალიბდება მშრომელთა დიქტატურა, სადაც კი არ უნდა ჭვარდეს მისი ალი და ნაპერწკლები; და ბოლშევიზმი სახელწოდება იმ საერთაშორისო პროლეტარულ პარტიის, რომელიც პროლეტარული დიქტატურის გზით ბრძოლით მიეშურება კომუნიზმის განხორციელებისაკენ.

რუსეთის ოქტომბრის რევოლიუცია შეიქმნა ამ დიადი ეპოქის დამწყები, მან გამოსტეხა რგოლი იმ მონობის ჯაჭვიდან, რომლითაც გარშემორტყმული იყო კაცობრიობა, ის მოევლინა ქვეყანას გაზაფხულის მერცხლათ, მისგან გაისმა „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა". კაპიტალისტური უღლის დალეწვის, ადამიანის ნამდვილი თავისუფლების ხანა დგება.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ პირველად პროლეტარიატის დიქტატურა და მისი გამომსახველი საბჭოთა რესპუბლიკა განამტკიცა დიდ სახელმწიფოებში ყველაზე უფრო ჩამორჩენილმა რუსეთმა?—აი რას იმიზეზებენ ყველა ქვეყნის „სოციალ-დემოკრატი", რამდენადაც ცდილობენ „მეცნიერულათ" დაასაბუთონ თავიანთი მძულვარება საბჭოთა რუსეთისადმი და მისი ძაგება თავ-თავის ქვეყნის პროლეტარიატის წინაშე. ვის გაუგონია რუსეთი გასოციალისტება კი არა, მისი დემოკრატიულ ქვეყნათ გადაქცევაც კი?—ჰკივიან ისინი. ჯერ ბურჟუაზია უნდა გაბატონებულიყო იქ,—ბრძნულათ ჰკვითხრობენ,—დემოკრატიას კანტროლი უნდა გაეწია მის აღმშენებლობითი უშაობისთვის, და თითონაც უნდა მიეღო მონაწილეობა. დიდიდიდი „დემოკრატიის" პოლიტიკური გაბატონება არ შესაძლებელი იქ, და არას შემთხვევაში პროლეტარული კლასის და მისი დიქტატურა—რუსეთი ჯერ მომწიფებული არ არის სოციალიზმისათვის, ჯერ იქ და აღორძინდეს საწარმოვო ძალები, დაგროვდეს აუარებელი სიმდიდრე, და შემდეგ, თუ დასავლეთ ევროპაში იფეთქა სოციალისტურმა რევოლიუციამ, და მხოლოდ მაშინ, იქნება შესაძლებელი ლაპარაკი რუსეთში სოციალიზმის შენების შესახებ. და რაკი რუსეთის პროლეტარიატმა და მისმა პარტიამ ეს სქემა დაარღვია, რაკი ისტორიის რიგში ადგა და ბურჟუაზიული რევოლიუციის შემდეგ სწრაფათ გადააბიჯა ფეხი ბურჟუაზიულ-დემოკრატიას და ძალა-უფლება ხელთ იგდო—ამიტომაც იქ არ არის არც სოციალიზმი, არც ნამდვილი დიქტატურა: იქაა მხოლოდ ნგრევა და განიავება, იქაა მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიის და კომისრების თვითმპყრობელობა. ასე მსჯელობენ განზე გამდგარი კრიტიკოსები, თუ უბრალო მაგინებელნი საბჭოთა რუსეთის ბრძოლის მისი სინამდვილის, მისი მომავალის.

ასე იბრმავებენ თავს და უფრო კი ცდილობენ მუშათა მასსებს აუხვიონ თვალი იმ წინააღმდეგობის აღნიშვნით, რომელიც მართლა გამოსჭვივის იმ ისტორიულ მოვლენიდან, რომ ჩამორჩენილ რუსეთმა წინ გაუსწრო ბევრათ უფრო დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და დაამყარა პროლეტარული დემოკრატია საბჭოთა სისტემის ფორმით.

არის კი გასაოცარი და მოულოდნელი რამე ამ წინააღმდეგობაში? ყველა ქვეყნებს უვლიათ განა ერთი სქემის მიხედვით, გადუხვევლად, უნაკლოებოთ? რასაკვირველია არა (იხ. შესანიშნავი სტატია ნ. ლენინის „მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში".

საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი კანონი ამბობს: რევოლიუცია ეკონომიური ევოლიუციის შედეგი და დასრულებაა. მარა რამდენათაც მრავალი და ერთმანეთისგან განსხვავებულია ევოლიუციის ფორმები და რამდენათაც მასზე გავლენას ახდენენ მეორე ხარისხოვანი ისტორიული, ნაციონალური, გეოგრაფიული და სხ. პირობები, იმდენათვე განსხვავდებიან სხვა და სხვა ქვეყნის რევოლიუციები, უფრო მეტიც—სხვა და სხვა კუთხის რევოლიუციური გადატრიალებები. ჰარმონიული, მექანიკური თანდათანობა, პროპორციის დაცვა თავიდან ბოლომდე და მით უმეტეს სრული ერთიგივეობა აქ არც მოსალოდნელია და არც შესაძლებელი. თითეული, თანამედროვე წყობილების პატრონი, ქვეყანა ავითარებდა, უფრო მკაფიოდ გამოხატავდა კაპიტალისტური განვითარების ერთ ან რამდენიმე თვისებას: ზოგან კაპიტალისტების კლასის მოძრაობა სჭარბობდა, ზოგან კი მუშათა კლასის. „გასაოცარი ის იქნებოდა —ამბობს ლენინი,—დემოკრატიის ახალი ფორმის განხორციელება ისტორიას ჩვენთვის რო ეჩუქებია მთელ რიგ წინააღმდეგობათა გარეშეთ. ვინაიდან არა თუ კაპიტალისტური წყობილების ქვეყნების გადასვლა პროლეტარული დიქტატურაზე არ შეიძლება მოხდეს სწორი თანდათანობით, თვით ბურჟუაზიულ დემოკრატიის დაპყრობა სწარმოებდა მიხვეულ მოხვეულათ, არა ერთხელ და სამუდამოთ გაკვლეულ კალაპოტში. კაპიტალიზმის განვითარება ერთიანად წინააღმდეგობათა მორევია, მარა ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი იოლათ ხსნის და არღვევს ამ მორევს, მისთვის გაუგებარი არაფერია, თვით წინააღმდეგობანი განვითარების ხან შედეგია და ხან მიზეზი.

მაგალითად, ინგლისი უძველესი კაპიტალიზმის ქვეყანაა, ის მარქსს ჯერ კიდევ 1867 წ. მიაჩნდა ევროპის მომავალის მაჩვენებელ მაგალითად, მარა სულ მალე სურათი შეიცვალა, გერმანიამ და მით უფრო ამერიკამ წინ გაუსწრეს მას, ინგლისი ჩამორჩენილ კაპიტალისტურ ქვეყანათ იქცა (იხ. კაუცკის წინასიტყვაობა გილფერდინგის „ფინანსიური კაპიტალი"-ს მე-15 გვ.), ამ უძველეს კაპიტალიზმის ქვეყანაში ფეოდალიზმის ხსენებაც არ უნდა იყოს, ვულგარულ მარქსისტების სქემას თუ ავედევნებით, მარა სწორედ ინგლისშია დაცული მრავალნაირი ფეოდალური ნაშთი, და მიწის არისტოკრატიაც იქ პოლიტიკური ცხოვრების ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს, თითქმის ტოლია სამრეწველო ბურჟუაზიის. ამავე დროს კი კაპიტალისტური განვითარებით ჩამორჩე-

ლად გამოდიან არა დღევანდელი ეპოქის დაუნდობელი ბრძოლის თვალსაზრისიდან, არამედ წინანდელი მშვიდობიანი ძველი დროის, როდესაც პარტიის მთელი მუშაობა მდგომარეობდა პროპაგანდაში. იმათ არ იციან, რომ, სიუმცა-ლა პროპაგანდა ახლაც უნდა შეადგენდეს პარტიულ მუშაობის დიდ ნაწილს, მაგრამ მან არ უნდა ჩაყლაპოს მთელი მუშაობა: ახლა, როდესაც დადგა მოქმედების ხანა, როდესაც იფეთქა სამოქალაქო ომმა, ჩვენთვის საჭიროა დღითი დღე, საათ-საათობით რევოლიუციონური მოქმედება, ჩვენ არაფერი არ გვაქვს საკეთებელი უფერულ ორგანიზაციებში, რომლებმაც თვითონ არ იციან დღეს, თუ რა აზრის იქნებიან ხვალ პროლეტარულ პოლიტიკის მწვავე კითხვების შესახებ.

**როგორი პარტია არაა საჭირო ჩვენთვის.**

ჩვენთვის საჭიროა პარტია, მაგრამ როგორი? ჩვენ ახლავე უნდა ვუთხრათ მემარჯვენე ელემენტებს სრულიად აშკარათ ის, თუ რაც უნდა ვუთხრათ. ჩვენთვის არაა საჭირო მე-2 ინტერნაციონალის პარტიები ან და თითქმის ისეთებიც, როგორც არიან ჯერ კიდევ ახლა ცენტრის ზოგიერთი პარტიები. ამგვარათ პარტიები ობიექტიურათ რეაქციონურ როლს თამაშობენ. ასე, მაგალითად, გერმანიის სოციალდემოკრატია თამაშობდა და თამაშობს რევოლიციონურ როლს კი არა, არამედ კონტრ-რევოლიუციონურს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამ დებულების დამტკიცება ზედმეტია. ცხადია, მუშათა კლასის ბრძოლა გერმანიაში სწორეთ იმიტომაა ახლა ასე მძიმე, რომ იქ არსებობდა ასეთი ძლიერი, კარგათ შეკავშირებული, მაგრამ ბურჟუაზიული სოციალ-დემოკრატიული პარტია. ჩვენთვის არაა საჭირო ისეთი პარტიები, რომლებსაც სურთ შემდეგშიაც მისდიონ მე-2 ინტერნაციონალის ცუდ ტრადიციებს. ჩვენთვის არაა საჭირო ისეთი პარტიები, რომლებსაც და სახული აქვთ არა-რთული მიზანი: შეიძინონ წევრების რაც შეიძლება დიდი რიცხვი. ჩვენთვის არაა საჭირო ისეთი პარტიები, რომლებიც გახდენ წვრილ-ბურჟუაზიული და შეაკავშირონ მხოლოდ მუშათა არისტოკრატია. ჩვენთვის არაა საჭირო ისეთი პარტიები, რომლებშიაც ძალიან ხშირათ მუშათა ბიუროკრატია კოხტათ იქცევა ხოლმე და მისდევს მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესებს. ჩვენთვის არაა საჭირო პარტიები, რომლებიც, მაგალითად, არჩევნებში ისეთ კანდიტატებს აყენებენ, რომლებიც მხოლოდ წინდღით არიან მიღებული პარტიაში. ჩვენთვის არ არის საჭირო ისეთი პარლამენტარული ფრაქციები, სადაც ჩვენ 46 პროფესორის მაგიერათ გვეყოლება 45 ან კიდევ მეტი ვექილი, და სადაც ჩვენ მოგვიხდება ვთქვათ: „პროლეტარულო რევოლიუციავ, შენ 45 ვექილმა გაგცა“. (ტაში)

ჩვენთვის არაა საჭირო ისეთი პარლამენტარული ფრაქციები, როგორიც მაგალითად, იტალიაში და გერმანიაში (იგულისხმება არა-კომუნისტები)—სადაც ისეთი პირები არიან, რომლებიც, როგორც ჩვენ დანამდვილებით ვიცით, მეტად კრიტიკულ მომენტში ან ბურჟუაზიის მხარეზე არიან, ან და ორ სკამს შუა სხედან და საბოტაჟს გვიწევენ ჩვენ ბრძოლის დროს.

**როგორი უნდა იყოს ჩვენი პარტია.**

ჩვენ გულდასმით უნდა განვიხილოთ ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობა, ჩვენ უნდა ვადევნოთ თვალყური იმას, რომ იქ არ შევიდენ ანტიპროლეტარული ელემენტები. ჩვენ ვისწრაფოდეთ იქითკენ, რომ ჩვენი პარტია ჭეშმარიტად პროლეტარული იყოს. სავსებით გასაგებია, რომ არსებულ მომენტში არის დიდი რიცხვი და მუშების არა ცუდ ნაწილში, რომელშიც სერიოზულად უყურებს ბურჟუაზიასთან ბრძოლას და რომელიც განცვიფრებულია მით, რომ უყურებს ისეთ პარტიებს, როგორიც არის, მაგალითად, გერმანიის, და ისეთ პარლამენტარულ ფრაქციებს, როგორიც არის იტალიის. იტალიაში საქმე იქამდის მივიდა, რომ მუშათა კლასი სულ ერთიანად კომუნიზმის, რევოლიუციონურ პოლიტიკის მომხრეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტერატს, რომელიც ათი წლის განმავლობაში ბურჟუაზიულ პოლიტიკას ატარებდა, შეძლება აქვს გამოვიდეს პარლამენტში პარტიის სახელით.

ასეთ პირობებში გასაგებია, რომ ჩნდება მიმდინარეობა პარტიისა, როგორც ასეთის წინააღმდეგ. ასეთივეა გერმანიაშიც, სადაც დამოუკიდებლების პარლამენტარულ ფრაქციის სახელით გამოდიან ისეთი პირები, როგორც, მაგალითად, გენკე, და ამბობენ იმასვე, რასაც შეიდემანი მხოლოდ რამოდენიმეთ სხვა სიტყვებით.

ასეთ შემთხვევაში გასაგები ხდება, რომ იქაც საკმარისათ შეგნებული მუშები ამბობენ: უკეთესია არავითარი პარტია არ იყოს, ვიდრე ასეთი მაგრამ, რაც კვირველია, ეს დასკვნა არ არის სწორი. ჩვენ ვამბობთ, თუ კი ესა თუ ის პარტია გლახაა, ჩვენ უნდა მოვაწყოთ რა არ უნდა იყოს ნამდვილი კარგი პარტია, ჩვენ უნდა შევკავშირდეთ, როგორც უმცირესობა, და ვიმუშაოთ ყოველ ნაბიჯზე, რომ ჩვენ რიგებში შემოვიდენ რჩეული ელემენტები.

ამიტომ, როდესაც ჩვენ გვაძლევენ კითხვას: როგორი უნდა იყოს ჩვენთვის საჭირო პარტია?—ჩვენ ვამბობთ: „არსებობს მთელი რიგი პარტიებისა, რომლებმაც თითქმის სურვილიც გამოსთქვეს შემოვიდენ მე-3 ინტერნაციონალში და რომლების შესახებაც შეიძლება მასთან ერთად ითქვას, რომ აი მაგალითი იმისი, თუ როგორი არ უნდა იყოს კომუნისტური პარტია. აი აქ საჭიროა დაუყოვნებლივ აგიტაცია გაუწიოთ მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილს და რაც არ უნდა იყოს გავაჯანსაღოთ ეს პარტია, თუმც დაშლაც მოგვიხდეს მისი, მაგრამ სამაგიეროთ, რაც არ უნდა იყოს, უნდა მოვაწყოთ ჭეშმარიტ კომუნისტური პარტია.

**როგორი პარტიაა ჩვენთვის საჭირო ორგანიზაციული თვალსაზრისით?**

მე მინდა დავუმატო ზოგი-რამ იმ კითხვის შესახებ, თუ როგორი პარტია გვესაჭიროება ჩვენ. საჭიროა ახლა თუ გინდ ზოგადათ შევეხოთ აგრეთვე ორგანიზაციულ საკითხსაც.

როგორი პარტიაა ჩვენთვის საჭირო ორგანიზაციულ თვალთსაზრისით? ჩვენ ყოველ ცალკე შემთხვევაში სულ სხვადასხვანაირათ უნდა შევეგუოთ არსებულ პირობებს. მუშათა მოძრაობაში არის თვისებები საერთაშორისო, საერთო ყველასათვის, მაგრამ გვხდება შემთხვევებიც, როდესაც უნდა შევეგუოთ სპეციალურ ნაციონალურ პირობებს. მე არ მინდა ვილაპარაკო ამ კონკრეტულ შემთხვევებზე, და დავუმატებ კიდევ მხოლოდ ერთს. არის მიმდინარეობა პარტიის სასტიკი ცენტრალიზაციის პრინციპის წინააღმდეგ. არიან წრეები, რომლებიც საერთოდ უარყოფენ პარტიას, და არიან წრეები, რომლებიც თანახმანი არიან მისი არსებობის აუცილებლობაზე, მაგრამ არ ცნობენ მისი ცენტრალიზაციის და რკინის დისციპლინის საჭიროებას. და ასეთი მტკიცება ჩვენ გვესმის არა მარტო რევიზიონისტების ინტელიგენციიდან, არამედ რამოდენიმეთ მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშების კავშირის და შოპ-სტიუარტის წევრებიდანაც. განვიხილოთ საერთო საკითხი იმის შესახებ, მართლაც საჭირო ჩვენთვის ცენტრალისტური პარტია, თუ წინააღმდეგ.

(შემდეგი იქნება).

# დასავლეთის ფრონტი

(სამხედრო მიმოხილვა)

ჩვენი სამხედრო შტაბის ყველა უკანასკნელი ცნობები ნათლად ამტკიცებენ ჩვენს აზრს, რომ პოლონეთის კონტრ-შეტევა დროებითი ხასიათისაა. საზღვარგარეთის პრესა ძლიერ კარგათ აფასებს მდგომარეობას და ალაპარაკდა უკვე იმაზე, რომ შესაძლებელია წითელმა ჯარმა მძლავრი, გადამწყვეტი შეტევა დაიწყოს. ამ ხასიათის არის ლონდონიდან 1 სექტემბრის რადიო, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევს ლიუბლინის და გალიციის ბრძოლებს. აქ პოლონეთის ჯარის მარჯვენა ფრთა ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია, მიუხედავათ იმისა, რომ პოლონელები დიდ აქტივობას იჩენენ ლემბერგთან.

შეიძლება ვსთქვათ გადაჭრით, რომ პოლონეთის კონტრ შეტევა დასრულებულია. უმთავრეს საოპერაციო მოქმედების ხაზზე, სადაც გალლერის და პილსუდსკის არმიები გაშმაგებით უტევდენ და წინ მოიწევდენ, მათი წინ სვლა უკვე შეჩერებულია, უკვე ჩაქრა მათი შეტევითი ლტოლვა. ამ რიგათ დასავლეთ ფრონტის ჩრდილოეთის მიმართულება უკვე კარგავს ინტერესს.

ჩვენი და პოლონეთის სარდლობის მთელი ყურადღება ეხლა მიპყრობილია სანდომირის მიმართულებით (მდ. სანუ) და ივანგოროდის მიმართულებით მდ. ვისლაზე. მთავარ სამხედრო მოქმედების ადგილათ ითვლება ეხლა სამკუთხედი, ხოლმ-გრუბეშოვი ლიუბლინი და ლემბერგ პერემიშელსკის რაიონი.

ეხლა ყველაზე უფრო საყურადღებოა თავისი შედეგებით გრუბეშოვის და სოკალის რაიონის ბრძოლები. ბუგის მარჯვენა მხარის შენარჩუნებით ჩვენი სარდლობა ცდილობს, რავუ რუსსკის და (50 ვერსით ლემბერგის ჩრდილო-დასავლეთით) ლიუბლინის მიმართულებით გაარღვიოს ფრონტი და ამ რიგათ ორ მიზანს მიაღწევს: ერთი სასტიკათ დაამარცხოს მოწინააღმდეგის ჩრდილოეთის ნაწილები და ლემბერგის ჩრდილოთიდან შემოვლით აიძულოს პოლონეთ-გალიციის არმიიდან გასწმინდოს აღმოსავლეთ გალიცია. ამ მხრით [illegible] ჩვენ დიდ ყურადღებას გრუბეშოვთან დაწყებულ ჩვენს შეტევას. გრუბეშოვი ერთ საოპერაციო კვანძია, რომლის გაჭრა ძლიერ შესცვლის მდგომარეობას მთელს დასავლეთის ფრონტზე.

# უკანასკნელი ცნობები

**4 სექტემბრის რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბის სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა.**

**მოსკოვი,** 5 სექტემბერი. ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში, გრძელდება ბრძოლები ამ ქალაქის აღმოსავლეთით 12 ვერსზე.

სოკოლსკის რაიონში, გრძელდება ბრძოლები 40 ვერსით დასავლეთით და 12 ვერსით სოკოლკის სამხრეთით.

ლვოვის რაიონში გრძელდება ცვალებადი ხასიათის ბრძოლები. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვეები და თოფები.

**ყირიმის ფრონტი.**

პერეიასლავის რაიონში ჩვენ მოვიგერიეთ მტრის შემოტევა; წამოვიყვანეთ ტყვეები. ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიის ფრქვეველი და მრავალი პატრონები.

**6 სექტემბრის სამხედრო ცნობა.**

**პოლონეთის ფრონტი.**

**მოსკოვი,** 7 სექტემბერი. ბელოსტოკის სამხრეთ აღმოსავლეთით გრძელდება ცვალებადი ხასიათის ბრძოლები.

**გრუბეშოვის** დასავლეთით ჩვენ სასტიკათ დავამარცხეთ მოწინააღმდეგე. წამოვიყვანეთ 200 ტყვე.

**როგატინის რაიონში,** ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის ფრონტი და ბრძოლით დაიკავა დ. პოდკამენიე. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და 4 ზარბაზანი.

**ყირიმის ფრონტი.**

**პერიასლავის რაიონში,** ჩვენმა ჯარმა ხელახლად მოიგერია მტრის შემოტევა, რომელსაც დიდი ზარალი მივაყენეთ. მტერს დაუმტვრიეთ სამი ტანკი. ორი მათგანი (ტანკი) ხელთ ვიგდეთ.

ტამანის ნახევარ კუნძულზე გადმოსხმული დესანტი მთლად გავანადგურეთ. დესანტის დარჩენილი ნაწილი გავანადგურეთ ზღვაში.

# სოფელი და მიწის მუშა

**რაჭის მაზრა.**

**მევშევიკები და მიწის რეფორმები.** ხშირად ამოგვეკითხავს „ერთობის“ ფურცლებში ვითომდა დასავლეთ საქართველოში გლეხები უზრუნველ ყოფილი იყვნენ მიწის რეფორმების გატარებით, აი მხარე დასავლეთ საქართველოსი (რაჭის მაზრა), სადაც, არამც თუ გატარებულა მიწის რეფორმები, არამედ ფიქრადაც არ დაუსახავთ მგონია მისი გატარება, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ მათ უკვე დასრულებულათა სთვლიან დასავლეთს საქართველოში მიწის რეფორმებს. აი როგორი „რეფორმები“ არის რაჭის მაზრაში: ყოფილ მებატონეებს უპყრიათ ხელთ ის ადგილები, რომლითაც ყოფილ მეფის დროს, სარგებლობდენ ძ ისვე ძველებურათ სარგებლობენ; გლეხებს ასე ეუბნებათ მებატონენი, რომ მთავრობა

---

ნილ საფრანგეთში ფეოდალიზმი ძირ-ბუდიანათ ამოგდებულია და იქ სუფევს განუყოფელი ბატონობა ბურჟუაზიის სხვა და სხვა ფრაქციების.

როცა ჩამორჩენილი საფრანგეთი რევოლიუციას აწარმოებდა და მთელ ევროპას აზანზარებდა, კაპიტალისტური ინგლისი კონტრ-რევოლიუციის მებაირახტრეთ გამოვიდა, ევროპის რეაქციის წინამძღოლი შეიქნა.

ინგლისში გაჩაღდა პირველი რევოლიუციურ-პროლეტარული მოძრაობა—ჩარტიზმი, ევროპაში კი ამ დროს მკრთალი ბურჟუაზიული რევოლიუციები ბჟუტავდენ. სამაგიეროთ, ინგლისის რევოლიუც. მოძრაობა მიმქრალი იყო, როცა წვრილბურჟუაზიულ საფრანგეთში 1848 წ. ივნსში ავარდა ალი კლასობრივი, სამოქალაქო ომის ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ასეთი კლასთა შეჯახება უფრო დიდი მასშტაბით განმეორდა 1871 წელს, პარიჟის კომუნის დროს, რის დამარცხების შემდეგ საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლიუციური ენერგია თითქოს გამოიფიტა, ამოშრა.

ამ დროიდან მუშათა მოძრაობის ცენტრი, როგორც იწინასწარმეტყველა მარქსმა, აღმოსავლეთისკენ გადადის, გეგემონია მუშათა ინტერნაციონალში გერმანელების კუთვნილება ხდება, თუმც მაშინ გერმანია ინგლისთან შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მაგრამ, როცა მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანიამ კაპიტალისტური განვითარების გზაზე უფრო დაწინაურებულ და მაღალ მრეწველობის ქვეყნათ, აღმოჩნდა, რომ მის შესანიშნავ, სახელგანთქმულ მარქსისტულ პარტიის სათავეში მოქცეოდენ იმპერიალისტური რეაქციის საზიზღარი ნოქრები, მუშათა კლასის გამცემი და გამყიდველი ბელადები — შეიდემანები, დავიდ-ნოსკე ლეგინები. პროლეტარულ რევოლიუციის მაგიერ ეს ვაჟბატონები გამოექომაგენ, მოდარაჯე ნაგაზებათ დაუდგენ კაპიტალიზმს, კონტრ რევოლიუც. ბურჟუაზიას. შაბლონიური სქემით, როგორც ხედავთ, ამ წინააღმდეგობა-შეუსაბამობაში გზას ვერ გაიკვლევთ. მარქსისტული მეთოდით კი სულ ადვილათ შეიძლება ამ თითქოს შეუსაბამო მოვლენების ახსნა, მათი მძივივით აცმა მიზეზ-შედეგის ძაფზე, და მომავალშიაც ასეთივე „წინააღმდეგობათა“ განსჭვრეტა.

აი, მაგალითად, 1902 წ., მეოცე საუკუნის დასაწყისშივე მარქსისტი კაუცკი, თავის სტატიაში: „სლავიანები და რევოლიუცია“ ამტკიცებდა, რომ რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონერობა სამაგალითო და მისაბაძი გახდება დასავლეთ ევროპისათვისო. ის სწერდა:

„ახლანდელ დროში (წინააღმდეგ 1848 წლისა) შეიძლება ვიფიქროთ, რომ არა მარტო სლავიანები ჩადგენ რევოლიუციურ ხალხთა წრეში, არამედ სიმძიმის ცენტრიც რევოლიუციური აზროვნების და რევოლიუციონური საქმის სულ უფრო და უფრო გადადის სლავიანებისკენ. რევოლიუციური ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიიმართება. მე-19 საუკუნის პირველ-ნახევარში ის საფრანგეთში იყო, ხანდახან კი ინგლისში. 1848 გერმანიამ ფეხი შედგა რევოლიუციონურ ერთა მწკრივში... ახალი საუკუნე ისეთი მოვლენებით იწყება, რომ საფიქრებელია რევოლიუციონური ცენტრის ხელახალი გადატანა, სახელდობ: მის გადატანა რუსეთში... რუსეთი, რომელმაც შეითვისა ესოდენი რევოლიუციონური ინიციატივა დასავლეთისგან, ახლა შესაძლოა თითონა მზათ გახდეს მისთვის რევოლიუციონური ენერგიის წყაროთ. რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც თანდათან ჩაღდება, შეიძლება გადაიქცეს უძლიერეს საშუალებათ იმ თონთლო ფილისტერობის და ჭკუადამჯდარ პოლიტიკანობის სულის გამოსაწვავათ, რომელიც ვრცელდება ჩვენს წრეებში; ის ხელახლა აიძულებს პრიალა ალათ ავარდეს ბრძოლის წყურვილმა და ჩვენს უდიდეს იდეალისადმი თავდავიწყებულმა ერთგულებამ.

რუსეთი დიდი ხანია აღარ არის დასავლეთ-ევროპისათვის უბრალო ბურჯი რეაქციის და აბსოლიუტიზმის, თითქოს, პირიქით, სულ წინააღმდეგს ვხედავთ: დასავლეთი ევროპა ხდება ბურჯათ რეაქციისა და აბსოლიუტიზმისა რუსეთში...

შესაძლებელია, რუსეთის რევოლიუციონერები დიდი ხნით ადრე გაუსწორდებოდენ თავის მეფეს, მათ რომ იმავე დროს არ უხდებოდეთ ბრძოლა მის მოკავშირესთანაც—ევროპის კაპიტალთან. იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა მაინც ისინი შესძლებენ ბოლო მოუღონ ორივე მტრებს, და რომ ახალი „საღვთო კავშირი“ უფრო ადრე დაემხობა, ვინემ მისი წინაპრები. მარა, როგორც არ უნდა გათავდეს აწინდელი ბრძოლა რუსეთში, სისხლი და ტანჯვა **წვალება** იმ წამებულთა, რომელსაც, სამწუხაროთ, ეს ბრძოლა მრავლათ წარმოშობს, ფუჭათ არ ჩაივლის. ის განაყოფიერებს მთელს განათლებულ მსოფლიოში სოციალური გადატრიალების ნათესს, აიძულებს იზარდოს სწრაფად და მრავალფეროვანათ (пышное). 1848 წ. სლავიანები წარმოადგენდნენ მკაცრ ყინულიან სიცივეს, რომელმაც გაანადგურა ხალხთა გაზაფხულის ნათესი. შესაძლებელია, ახლა ისინი იქცევიან იმ ქარიშხლათ, რომელიც დალეწავს რეაქციის ყინულს და შეუკავებლათ მოუტანს ხალხებს ახალ ბედნიერ გაზაფხულს.“

ასეც მოხდა. საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის გეგემონია შექმნილ ისტორიულ პირობების ზეგავლენით გადავიდა რუსეთის პროლეტარიატის ხელში. გადავიდა, რასაკვირველია დროებით, რადგან ხელსაყრელი პირობები შეიქნა ამისათვის. და როგორც კი დასავლეთი ევროპა, დაწინაურებული ქვეყნები თავს დააღწევენ მსუსხავ იმპერიალისტურ რეაქციას და მსოფლიო რევოლიუციის ფერხულში ჩაებმიან აქტიურათ, წონასწორობაც აღდგენილ იქნება პროლეტარულ ინტერნაციონალში. მანამდის კი პროლეტარული რუსეთის გეგემონია კომუნისტურ ინტერნაციონალში, რევოლიუციონურ მოძრაობაში ცხადი და უეჭველია. მას ხვდა წილად დაწყება სოციალისტურ მსოფლიო რევოლიუციის, მან პირველმა განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელმაც უნდა გაარღვიოს ნაციონალური ფარგლები, გაიხსნას ევროპის პროლეტარულ რევოლიუციაში. მაშინ და მხოლოდ მაშინ დამთავრდება ბრძოლა საზოგადოების სოციალისტურათ ორგანიზაციისათვის. მაშინ შეეძლებათ რუსეთის რევოლიუციის შესვეურებს სთქვან დამსახურებული სიამაყით: ჩვენ მივიმოქმედეთ, რაც შეგვეძლო და როგორც შეგვეძლო; ჩვენ გავაღვივეთ პროლეტარული რევოლიუციის ალი და დავიცავით ის ჩაქრობისაგან იმ მომენტამდე, სანამ ევროპის მოწინავე პროლეტარიატის რაზმები წამოგვეშველებოდენ და დაეპატრონებოდენ რევოლიუციის კერას. უკეთესებმა ისარგებლონ ჩვენი გამოცდილებით, ჩვენი შეცდომებით და გვიხელმძღვანელონ ახლა, რათა უკეთესად დავაბოლოოთ ბრძოლა და უკეთესათ მოვაწყოთ საზოგადოება ახალ საფუძველზე, ვინემ ეს შევძლით ჩვენ ჩამორჩენილ, განადგურებულ ძ ალყა შემორტყმულ რუსეთში. (იხ. ლენინის ხსენებული სტატია; აგრეთვე მისი „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“).

მაშ ასე. მსოფლიო პროლეტარიატის მოძრაობა შეუჩერებლად მიისწრაფება წინ, კლასობრივ დიქტატურისაკენ. მარა მიისწრაფება არა ია-ვარდით მოფენილი გზით, არამედ მიხვეულ მოხვეულებით, ზიგზაგებით, წინააღმდეგობათა თანხლებით.

რუსეთმა პირველმა შედგა ფეხი სოციალისტური რევოლიუციის გზაზე, საამისოთ მას უფრო ხელსაყრელი პირობები დაურჩა, ისტორიულად მისთვის ადვილი შეიქმნა პროლეტარიატის დიქტატურის ზარი ჩამოერეკა.

რა პირობებია ეს?

ეს კითხვა ორ ნაწილად უნდა გაიყოს: 1) სოციალიზმის წინასწარი პირობები, ე. ი. რამდენათ იყო რუსეთის ობიექტიური სინამდვილე მომზადებული კაპიტალისტური წყობილების დასამხობად და სოციალისტური ნაბიჯების გადასადგმელად? 2) რა სპეციფიური პირობები იყო რუსეთში, რომ მას გაუადვილდა სოციალისტურ რევოლიუციის დაწყება, ე. ი. გარდა სოციალიზმის წინასწარი პირობებისა, რა თავისებური-მხოლოდ რუსეთისათვის დამახასიათებელი ხელსაყრელი თვისებები იყო ჩამარხული რუსეთის სინამდვილეში?

ქ. ვექტორი.

არ გვართმევს ადგილებსო და თუ გსურთ მიწების დამუშავება მოგვეცით ნახევარი ღალა და დაგამუშავებინებთო.

რომელ გლეხსაც არა აქვს სამყოფი მიწა დასამუშავებელი, ის ძალა უნებურად ამუშავებენ მებატონეთა ადგილებს და აძლევს მემამულეს ნახევარს ღალას.

აქ „ერთობის“ ფურცლებში ვკითხულობთ, რომ მიწის რეფორმები დასავლეთს საქართველოში უკვე დასრულდაო, სჩანს, ჩვენი მენშევიკები ყველგან ისე ატარებენ მიწის რეფორმებს, როგორც რაჭის მაზრაში.

მე დავესწარი ველევის საზოგადოებაში საზოგადოების საერთო კრებას; კრება მოწვეული იყო საზოგადოების ხმოსანთა ასარჩევათ; არჩევნები უნდა მომხდარიყო ფარული კენჭის ყრით. კრებას წამოუყენა კომისარმა ასარჩევი კანდიდატების სია, სადაც მხოლოთ მენშევიკები იყო დასახელებული, კრებამ ბ. კომისარს სთხოვა კანდიდატების ნება მიეცათ. კომისარმა ნება დართოთ კანდიდატების დასახელების. კრებამ დაასახელა და წარუდგინა ბ. კომისარს, უკანასკნელმა კი გადახედა კანდიდატთა სიას და განუცხადა: მე მაგ კანდიდატებს არ მივიღებო იმიტომ, რომ მანდ სულ ბალშევიკები არიანო. კრებას აღელვება დაეტყო. კომისარმა განუცხადა უნდა დაამტკიცოთ ჩემი წამოყენებული სიაო. მიუხედავათ ამისა სოფელმა მაინც კატეგორიულათ განუცხადა უარი მონაწილეობის მიღებაზე, რადგანაც მათი წამოყენებული კანდიდატები არ იქმნა მიღებული, დანარჩენებმა კი დაამტკიცეს სია.

აი როგორ იღებენ მონაწილეობას გლეხები მენშევიკების არჩევნებში.

**გ. ბეთლეველი.**

---

### რა „სამსახური გაუწიეს სპეკულიანტებმა ზუგდიდის მაზრის შრომელ მასსას?“

მუშათა კლასის მყვლეფელთა და მჩაგრვრელთა შორის სპეკულიანტები ყოველთვის დიდს როლს თამაშობდენ და დღესაც თამაშობენ, ესენი ყოველთვის იყვენ მუშათა კლასის მოსისხლე მტრები სხვებთან ერთად და დღესაც არიან. მთელი მათი ძალ-ღონე, ენერგია იქითკენ იყო და არის მიმართული, რომ მუშათა კლასი შეძლების დაგვარად ყვლეფონ, სჩაგრონ, ოღონდ კი თავიანთი თავი განცხრომაში, ფუფუნებაში და ათასგვარ გარყვნილებაში ამყოფონ. სპეკულიანტების მოღვაწეობა მუშათა კლასის „საკეთილდღეოდ“ ნათელ-ყოფილ-იქნა განსაკუთრებით მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ. ამ ომმა სააშკარაოზე გამოიტანა მთელი მოღვაწეობა სპეკულიანტთა გაიძვერებისა. თუ კი მსოფლიო ომის დაწყებამდე სოფლის მუშას ესაჭიროებოდა „მიკროსკოპი,“ ეს, საგნის მრავალჯერ გამადიდებელი მანქანა სპეკულიანტთა მავნებლობის დასანახავად, ახლა თვით მივარდნილ კუთხეების სოფლის მუშის უბრალო თვალიც ადვილად ხედავს მას. თუ კი შეეკითხები სოფლის უკანასკნელ მუშასაც კი, ვინაა სპეკულიანტიო, ის მოგიგებს: „სპეკულიანტი, ეს ის ადამიანია, რომელიც მუშებს ტყავს აძრობს, მუშების სისხლს სვამს და მით ზედმიწევნით ნებივრდებაო.“ ამგვარად სპეკულიანტთა მავნებლობა მუშათა კლასისადმი ნათელი და აშკარაა, რასაც თვით ბავშვიც კი მიხვდება.

ზუგდიდის მაზრის მშრომელთა უმრავლესობას წარმოადგენს მიწის მუშა ხალხი, განსაკუთრებით უმიწაწყლო მუშები, რომელნიც მუშაობენ, როგორც საფონდო, ისე კერძო მემამულეთა მიწებზე და აძლევენ მათ შესაფერსს ღალას. ზუგდიდის მაზრაში სთესენ განსაკუთრებით სიმინდს და აი სწორედ მთელ საცხოვრებელ წყაროს მიწის მუშებისათვის ეს სიმინდი წარმოადგენს; რასაკვირველია უშემოსავლო წლების გამოკლებით, ამ წლებში პირიქით მიწის მუშა იძულებულია მთელი თავისი ქონება (თუ კი რამ მოეპოვება) გაყიდოს და მით თავიდან აიშოროს ის საშინელი საფრთხე და უბედურება, რომელიც შიმშილობისაგან წარმოსდგება. აი სწორედ ასეთი შიმშილობის წელი იყო წრეულს, ვინაიდან მოსავალი ფრიად უმნიშვნელო მოვიდა და ისიც ალაგ-ალაგ. წინა წლებში, როდესაც ზუგდიდის მაზრაში სიმიდი ბლომად მოდიოდა, სპეკულიანტები დათარეშობდენ, ყიდულობდნენ სიმიდს და სხვა პირნახულსაც სოფლის მუშებისაგან ფრიად დაკლებულ ფასებში, გარდა ამისა ატყუებდენ: წონას უკლებდნენ და ზოგ მივარდნილ კუთხეებში კი ყალბ ფულებსაც ასაღებდენ.

რაღა ვთქვათ, მთელ ძალ-ღონეს ხმარობდენ მშრომელთა დასაბეჩავებლად, მათი ცოლ-შვილის ასატირებლად. ამგვარად ზუგდიდის მაზრის მშრომელი მასსა წინა წლებშიაც საკმაოდ იჩაგრებოდა სპეკულიანტების მიერ, ხოლო წრეულს მათი (მუშათა კლასის) უკიდურეს მდგომარეობაში ჩაყენება შიმშილის მხრით შედეგია, როგორც სიმინდის ნაკლებობისა, ისე გაიძვერა სპეკულიანტების გაუმაძღრობისა და მათი „მოღვაწეობისა“ თავიანთი ღიპის კიდევ უფრო გასაფართოვებლად.

**კალე გოდორაშვილი**

---

## პარტიულ ცხოვრება.

### ქ უ თ ა ი ს ი

1 სექტემბერს შესდგა პირველი იაჩეიკის კრება. დაესწრო 25 კაცი (პირველ იაჩეიკაში ირიცხება 30 კაცი). მიღებულ იქმნა შემდეგი წესრიგი: 1) პრეზიდიუმის არჩევა; 2) სამუშაო გეგმა; 3) მიმდინარე კითხვები. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი და გამომუშავებული სამუშაო გეგმა. როგორც გამოირკვა კრების თავმჯდომარის მოხსენებიდან პირველ იაჩეიკაში მუშაობა კარგათ მიდის. იაჩეიკა იძენს წიგნებს, იწერს რამოდენიმე ცალს გაზ. „ახალ კომუნისტს.

კრებამ საჭიროთ იცნო მოაწყოს მომღერალთა გუნდი. პირველ იაჩეიკას ყავს 7—7 მომღერალი. გადაწყდა ეცნობოს სხვა იაჩეიკებს, რომ მათაც გამოყონ მომღერლები.

ამნაირად შესდგება მომღერალთა გუნდი, რომელიც შეისწავლის ახალ რევოლიუციონურ სიმღებებს.

დაბოლოს გამოტანილ იქმნა პროტესტები დაშნაკელთა თეთრი ტერორის წინააღმდეგ და ეგრეთ წოდებულ მენშევიკების—„მუშათა დელეგაციის“ გაგზავნის შესახებ საბჭოთა რუსეთში.

**დონმანი.**

---

### პ რ ო ტ ე ს ტ ი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის პირველმა იაჩეიკამ, 1 სექტემბერს, თავის სხდომაზე, იქონია რა მსჯელობა სომხეთის მთავრობის თეთრი ტერორის შესახებ, დაადგინა: კრება აცხადებს ენერგიულ და სასტიკ პროტესტს სომხეთის დაშნაკელთა მთავრობის თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

სომხების მუშების და გლეხების ჯალათებმა სამუდამოთ გამოგვტაცეს ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, როგორც იყვნენ მაგ. ს. ალავერდოვი, მუსაელიანი და სხვ. და ტყვიებით გაუგმირეს გული.

სომხეთის დაშნაკცაკანური მტარვალთა მთავრობა, რომლის მხეცობამ გადააჭარბა ყოველგვარ საზღვარს, დახვრეტით უსწორდება სომხეთის საუკეთესო რევოლიუციონერებს და თავდადებულ მებრძოლებს.

ჩვენ მოვითხოვთ კომუნისტების წინააღმდეგ მიმართული ტერორის შეჩერებას და ციხეებიდან ჩვენი ამხანაგების განთავისუფლებას.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ მალე მოიწმინდება სომხეთში კომუნისტებისათვის მოღუშული პოლიტიკური ცა და ვაი მაშინ მტარვალებს.

**ქუთაისის პირველი იაჩეიკა.**

---

საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის პირველმა იაჩეიკამ 1 სექტემბერს თავის სხდომაზე იქონია რა მსჯელობა საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთში „მუშათა დელეგაციის“ გაგზავნის შესახებ—დაადგინა: ვინაიდან ჩვენ მუშა გლეხების 85 პროცენტის დაუკითხავათ მთავრობამ გაგზავნა „მუშათა დელეგაცია“, იქ იმ ქვეყანაში, სადაც ნამდვილი მუშა-გლეხებია, მარტო კავშირის მიერ არჩეული არა მუშები, სადაც ერთი კომუნისტიც არ მოაქციეს—გამოეცხადოს პროტესტი მმართველ პარტიას და ც. კ. მოითხოვს, რომ სასწრაფოდ გაიგზავნოს რუსეთში მუშათა და გლეხთა დელეგაცია, რათა პირისპირ შეხვდნენ იქ ჩვენი ამხანაგები საქართველოს ბურჟუაზიული რესპუბლიკის „მუშათა დელეგაციას“ და ვსთხოვთ სიმართლით და ფაქტებით ხელში გააცნონ ჩვენ შორეულ ამხანაგებს, თუ რა აუტანელ პირობებში არიან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშები და გლეხები.

**ქუთ. იაჩეიკის მონდოპილობით პრეზიდიუმი.**

---

## მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

### ფოთის ნავთსადგურის მუშების საქმე გაფიცვამდი მივიდა. *)

II

როგორც მოგახსენებდით, შაბათს 21 აგვისტოს უნდა გადაწყვეტილიყო: აუცილებელი იქნებოდა გაფიცვა, თუ უამისოთ დააკმაყოფილებდენ ნავთსადგურის მუშების კანონიერ მოთხოვნილებას. ამ უკანასკნელ ულტიმატუმის დღეს მენშევიკებმა გამოუცხადეს მუშებს: ყველა თქვენი მოთხოვნილება, დაკმაყოფილებულია, გაფიცვა საჭირო აღარ არისო! არავითარი შთაბეჭდილება ამ გამოცხადებას მუშებზე არ მოუხდენია. ბევრი მათგანი ასე ამბობდა: ეს გახლავს მორიგი ტყვილიო, არაფერს არ დაგიჯერებთ შვილოსან, სანამ მომატებული ჯამაგირებს არ ავიღებთო. ყველა რაღაც სკეპტიკურად უყურებდა ამ გამოცხადებას, მიუხედავათ გამგეობის ფიცისა და მტკიცებისა დაკმაყოფილებული ხართო. რა ძლიერ ცუდი ყოფილა თურმე ნდობის დაკარგვა, მით უფრო მართველ პარტიის მიერ, მუშებში! დაკარგა თუ არა ნდობა მენშევიკებმა ფოთის ნავთსადგურების მუშებში, ამას ქვევით დავინახავთ. მოვიდა ჯამაგირების დარიგების დროც მუშებმა მოითხოვეს დაპირების თანახმად მომატებული ჯამაგირები, მაგრამ გარკვეული პასუხი ვერ მიიღეს. „შუბი ხალთაში არ დაიმალება“. გამოირკვა, რომ მომატებული არაფერი არ ყოფილა და თუ მენშევიკები ეფიცებოდენ დაკმაყოფილებული ხართო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რამოდენიმე ხნით გაფიცვა შეეჩერებიათ. უკმაყოფილებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მუშები დაჟინებით მოითხოვდენ თავის დადგენილების სისრულეში მოყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში ორშაბათს სამუშაოზე არ გავალთო. ეს პირველი და უკანასკნელი ულტიმატუმი იქნება, იცოდეთ ბატონებო, გეყოფათ, რაც გვატყუილეთო, ერთხმათ ამბობდენ მუშები. მენშევიკები ამ გარემოებამ საგონებელში ჩააგდო, აღარ იცოდენ რა ექნათ, დაიბნენ. ხედავდენ გაფიცვა აუცილებელია, თუმცა ეკონომიური ხასიათის, როგორც ისინი ხშირად ამბობენ და სწერენ, ხოლო გულში კი ფიქრობენ: როგორ შეიძლება გაფიცვა?!. განა ყველა გაფიცვა ეკონომიური თუ სხვა იგივე ყალბი‘ უმსგავსო პოლიტიკის შედეგი არ არისო... აი რატომ ეშინიათ მათ გაფიცვის.

სხვა გზა აღარ იყო; მოიწვიენ კრება ორშაბათს, სადაც გამოაცხადეს: რა ვქნათ, ამხანაგებო, სატარიფო პალატა თანახმაა დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნილება, მაგრამ როგორც სჩანს, მწარმოებელი არ ეთანხმება ამაზეო! საჭიროა მოგვცეთ ცოტა დრო, რომ გამოვარკვიოთ, თუ რაშია საქმეო. აქ იყვირეს მუშებმა: საკმარისი დრო იყო თქვენს განკარგულებაში, თუ რამესი გაკეთება გინდოდათ, ახლა ჩვენ გავიფიცებით და დეე, აქ მობრძანდით—და მოგველაპარაკეთ გაფიცულებსო! აი აზრი თითქმის მთელი მუშების, გარდა გამგეობისა. გამგეობა კი მოითხოვდა ცოტა დრო მოგვეცით და, თუ სრულად არ დაგვკმაყოფილებენ, ჩვენც თქვენთან გავიფიცებითო!. ლამაზი სიტყვებია, არა უშავს! შეიძლება ცოტა დრო მივსცეთ მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული ეს იქნება დროს წაგება, საქმის გაჭიანურება და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა კი ამდენს არ ითმენსო, ამბობდნენ მუშები.

გამგეობამ კი ამოწურა მთელი თავისი საშუალება, ცოდნა, მჭევრმეტყველება ბევრი ცივი და ცხელი ოფლი დაღვარა, გადადგომაც კი მოინდომა (შესახედავათ რა თქმა უნდა), რომ ცოტა დრო მიეცა კრება მისთვის უკანასკნელი პასუხისათვის.

ნათქვამია „მტყუანს კარამდე მიჰყევიო“. მუშებმა მისცეს მათ პირველ და უკანასკნელათ სამი დღე, რომ ერთხელ კიდევ გამოსცადონ და საბოლოოდ დარწმუნდენ, თუ ვისთან აქვთ საქმე. ხუთშაბათს უნდა მიიღონ გადაჭრილი პასუხი სიტყვით კი არა (მით უფრო მენშევიკის პირით), არამედ საქმით, ე. ი, ხუთშაბათს უნდა მიიღონ მომატებული ჯამაგირები, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარასკევს ნავთსადგურში მუშაობა შეწყდება და მენშევიკები დადგება შიშველი ფაქტის წინაშე!

მუშები თანდათან ერკვევიან შექმნილ მდგომარეობაში. აი რას ამბობენ ისინი:

წინათ, ბატონო, მარტო მწარმოებელთან გვქონდა საქმე, მას ვეფიცებოდით, მას ვეჩხუბებოდით, ხან ნებით და ხან ძალით ვაკეთებდით ჩვენს საქმესო. დღეს კი სამ მოწინააღმდეგესთან გვაქვს საქმე: გამგეობასთან, სატარიფო პალატასთან და მწარმოებელთანო. სამივესთან დიდი ბრძოლა, ჩხუბი და გაფიცვა გვჭირდება, რომ ოდნავ მაინც გავაუმჯობესოთ ჩვენი უმწეო მდგომარეობაო. ერთს რავაც იქნება დავითანხმებთ, მეორე გაგვიდგება, თუ მეორე დავითანხმეთ, მერე გვეტყვიან, მესამე არ გვეთანხმებაო. ერთი სიტყვით, წინად თუ ერთი ფრონტი გვქონდა, დღეს სამი გვაქვს, ამით გაგვაბედნიერესო. ჩვენ გვეგონა, დემოკრატიულ წყობილებაში საქმე გაგვიადვილდებოდა; თუ მთლად დაილუპებოდა ჩვენი საქმე რა ვიცოდითო!

თუ ამას ქვია „დემოკრატიზმი“, ღმერთმა დასწყევლოს მისი მომგონიო!..

**Yita.**

---

### წერილი ციხიდან

ბევრი ხანია რაც ზუგდიდის მაზრაში ჩვენი პარტიის მუშაობის ლეგალური პირობები დაირღვა ემუქრებიან დაჭერით ყველას, ვინც კრინტს დასძრავს საზოგადოებაში ორგანიზაციულ მუშაობაზე. მაგრამ ჩვენ მჭიდროდ ჩავეჭიდეთ ჩვენს ლეგალურ არსებობას და კიდევაც გავხდით ამ ჩვენი სამართლიანი სურვილის მსხვერპლი—დაგვიჭირეს და დაგვამწყვდიეს ზუგდიდის სამაზრო ციხეში; ჯერჯერობით ვართ დაპატიმრებული ოთხი ამხანაგი: ალე თოლორაია, მიხა მაფორია, მაქსიმე ხვიჩია, პოდი ფარცვანია. ზოგი ჩვენთაგანი ერთი თვეა რაც ციხეში იტანჯება და მიუხედავად განუწყვეტელი მოთხოვნისა, არაა წამოყენებული ბრალდებები. არ ვიცით რამდენ ხანს დავრჩებით ციხეში; ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენ იდეური პოლიტიკური ბრძოლა არსად, არც ერთი პასუხის მგებელი ამხანაგისა, არ გაცილებია საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულების მუხლებს, ამას ვინ არ დაადასტურებს ჩვენს მაზრაში! მაგრამ აშკარად ვიტყვით, რომ მთელ მაზრაში მთელი გალატაკებული, დაბეჩავებული მუშა—გლეხობა თანაუგრძნობდა ჩვენ მუშაობას და შეუჩერებლივ ეწერებოდა ჩვენს ორგანიზაციებში; ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ მაინც შეშურდა ეს ზუგდიდელ მართველ პარტიას და უკვე მიმართა ძველ ნაცად ძალადობას: სადაც უფრო მჭიდროდ მოიკიდა ფეხი კომუნისტებმა იქ დღეს მენშევიკური თარეშია ატეხილი, მაგალითად სოფ. ორულ-ერგეტა მიხანში ამოღებულია და მასთან მთელი დარჩენილის რაიონს შავი დღე დასტრიალებს თავს. აი რატომ მოითხოვა იქ მთელმა საზოგადოებამ საზოგადო რეგისტრაცია, რისი შესრულება შეუძლებელი იყო იქაური კომიტეტისათვის. რეგისტრაციის დროს აღმოჩნდა 1400 თანამგრძნობი ორივე სქესისა· მაგრამ დადგა შავი დღე იმათთვის... ჩვენ ციხეში ვართ; არ ვიცით დანამდვილებით ჩვენი კომუნისტი ამხანაგების მდგომარეობა, მაგრამ აშკარა უნდა იყოს, რომ მათგან არც ერთი არ კიდებს ხელს ორგანიზაციულ მუშაობას, ეს იმიტომ, რომ დანამდვილებით იციან თუ აქტიურ მუშაობას დაიწყებენ მაშინათვე დაიჭერენ, თუმც ეს მიუტოვებელი დანაშაულობაა პარტიის წინაშე, მაგრამ ეს ასეა ჩვენ მაზრაში. მოვუწოდებთ ჩვენ ამხანაგებს არ მოიქცენ მენშევიკების სურვილისამებრ — უსათუოდ უნდა იქნას განახლებული ლეგალური მუშაობა. ერთი უნდა ვნახოთ რა ზომამდი მივლიან მენშევიკები; დეე გვიჭირონ სანამ შეუძლიათ, მხოლოდ ნუ დაივიწყებენ დასაბუთებული ბრალდებების წამოყენებას.

**ტუსაღი კომუნისტი.**

20 აგვ. 1920 წ.

---

## რა ხდება საქართველოში

(მენშევიკების პრესა)

გაზ. „ერთობის“ 202 № ვინმე „ბერკი“ ბინის საკითხის შესახებ შემდეგს სწერს:

„სურსათ-სანოვაგის საკითხთან ერთად ბინის საკითხი თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს.

დემოკრატიის ის ნაწილი, რომელიც მთელ თავის დროს და ენერგიას რესპუბლიკის კეთილდღეობას ანდომებს, ნესტიან სარდაფებშია მიკუნჭული, ან ქუჩაშია გამოყრილი.(?)

ამავე დროს, სხვა და სხვა ჯურის სპეკულიანტები თუ ძველი რეჟიმის მსახურნი თავისუფლათ სცხოვრობენ კარგ ბინებში, სადაც სამი ოთხი მუშის ოჯახი თავისუფლათ მოთავსდებოდა.

მიუხედავათ იმისა, რომ თავისუფალი ოთახები ბევრად მეტია, ვინემ წინედ, მაინც სპეკულიაცია ბინებზე უმაღლეს წერტილამდე ავიდა.

ქალაქების საბინაო განყოფილებამ, ხომ ვერ დასდო წამალი სენს. საზოგადო საქმე ნათლიმამობამ ჩაყლაპა...(?)

ცნობის მიღებაც შეუძლებელია თავის დროზე, ვინაიდან გარდა ერთი ქალისა, ვერც ერთი გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემს. მთხოვნელების მიღებაც არა ნორმალურად ხდება. რიგს გარეშე „საპატიო პირები“ ერთი ხელის დაქნევით, უკანა კარებიდან შედიან და დაუყონებლივ ღებულობენ საჭირო ცნობებს. რიგში მყოფთ მთელი თვეობით უხდებათ საბინაო განყოფილების კარებთან დარაჯობა, რომ ეღირსონ რაიმე ცნობის მიღებას,

სამი თვე არის, რაც ამ საზღაპრო სიძვირეში უკანასკნელი ჩექმები გამიცვეთია, საუკეთესო დრო გამიცდენია და ვერაფერი მიმიღია, მიუხედავათ იმისა, რომ ოთახებიც უჩვენე და თავისი დასკვნაც გამოიტანა ოთახების სარეკვიზიციო კომისიამ. და იმავე დროს საპატიო შუამდგომლობაც წარვადგინე სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან და ბოლოს იძულებული ვიყავ მთავრობის თავმჯდომარისთვის მიმემართა თხოვნით ბინის შესახებ. მიუხედავათ ყველა ამდენი ცდისა, მე მაინც ვერ ვეღირსე ბინის მოცემას და ამ ნაირათ, თითქმის ნახევრად ქუჩაში ვიმყოფები.

სუსხიანი ზამთარი კარებზე გვიკაკუნებს და ამას ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა მანამდე ვიფიქროთ ბინის საკითხის მოწესრიგებაზე, ვიდრე გვიან არ არის...“

კომენტარიები ზედმეტია.

---

## ჩვენი ფოსტა

დ ო ნ - მ ა ნ ს: ხშირ-ხშირათ გამოგზავნეთ ცნობები ადგილობრივ მუშების მდგომარეობის შესახებ და პარტიულ ცხოვრებიდან.

ფ ო თ ე ლ მ უ შ ა ს: მოგვაწოდეთ კორესპონდენციები ადგილობრივ მუშათა და პარტიულ ცხოვრებიდან.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ ს: თქვენი კორესპონდენცია დარაჯების ცხოვრებიდან დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ ცნობები ხშირ-ხშირად.

კ ა ლ ე ფ ე ო დ ო ს ი შ ვ ი ლ ს: მივიღეთ იბეჭდება. გამოგზავნეთ ცნობები პარტიულ ცხოვრებიდან.

ბ ო რ ჟ ო მ ე ლ მ უ შ ა ს: არ გამოგვადგა. გამოაგზავნეთ კორესპონდენციები ადგილობრივ მუშათა ცხოვრებიდან.

ს ა მ. კ უ ლ ა შ ე ლ ს: გამოაგზავნეთ კორესპონდენციები ადგილობრივ მიწის მუშების ცხოვრებიდან.

ი მ ე დ ს: არ გამოგვადგა. კერძო, პირადული ხასიათისაა.

---

**დრ. რედაქტორი: დიმიტრი ჯორბენაძე.**

---

*) იხილ. „ახ. კომუნისტი“ № 25.

სტამბა „ეკონომია“ დიდი ვაჩნაძის ქ. № 3.